IPN
ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაცია პედაგოგთა პროფკავშირს მხარდაჭერას უცხადებს

19:12 17-03-2011

თბილისში ვიზიტად მყოფი საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაციის წევრები პედაგოგთა პროფკავშირს მხარდაჭერას უცხადებენ.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოფისში დღეს აღნიშნული პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაციის წევრებთან ერთად პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოში საგანგებო ვიზიტით მყოფი მსოფლიო პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები პედაგოგთა პროფკავშირში არსებულ პრობლემებთან და სასამართლო დავასთან დაკავშირებით იმყოფებიან.

"ხუთკაციანი დელეგაციის ვიზიტის მიზანია, დაცული იყოს საქართველოსთვის ღირებული დემოკრატიული ფასეულობები. მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მხარდაჭერა პედაგოგთა პროფავშირისა და ლეგიტიმური არჩევნების მიმართ. ჩვენ ერთობლივად შევიმუშავეთ სამუშაო გეგმები და სტრატეგიები. დახმარებას გვპირდებიან, რათა შენარჩუნდეს რეალურად პედაგოგთა დამცველი ორგანიზაცია", _ აღნიშნა მაია კობახიძემ.

დელეგაციის ხელმძღვანელის დევიდ პოიზენოს განცხადებით კი, დღეს ისინი დაესწრნენ საქალაქო სასამართლოში პედაგოგთა წინააღმდეგ მიმართულ სასამართლო პროცესს, რომლის შემდეგი მოსმენა 1-ელ აპრილს გაიმართება. პოიზენოს თქმით, ისინი შეშფოთებული არიან პედაგოგთა პროფკავშირში მიმდინარე პროცესებით, ძირითადად, დაფინანსების წყაროს შეწყვეტის გამო და თბილისში სარჩლის შემდგომი განხილვისთვისაც ჩამოვლენ.

დელეგაციის შემადგენლობაში განათლების ინტერნაციონალის, განათლების სექტორის მსოფლიო პროფკავშირული გაერთიანების, ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის, განათლების ინტერნაციონალის ევროპის რეგიონის; დანიის განათლების პროფკავშირების, გერმანიის პროფკავშირებისა და საერთაშორისო პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენლები იმყოფებიან. საერთაშორისო პროფკავშირების წევრები თბილისში 16 მარტს ჩამოვიდნენ და 19 მარტამდე დარჩებიან.

მასალის გამოყენების პირობები